# *ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა*

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

| |
|---|
| სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 060502 |

ქვეპროგრამის დასახელება:

| |
|---|
| სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია |

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

| |
|---|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

| დასახელება | 2018 წელი |
|---|---|
| ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები | 120 000 |
| სულ ბიუჯეტი: | 120 000 |

ქვეპროგრამის მიზანი:

| |
|---|
| სქოლიოზით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის რეაბილიტაციის კურსების მიწოდება. |

ქვეპროგრამის აღწერა:

| |
|---|
| სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზის მქონე ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო ღონისძიებების მიწოდება. სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება მოიცავს ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციას, სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას (არანაკლებ 15 წუთიანი მასაჟი -10, არანაკლებ 40 წუთიანი სამკურნალო ფიზკულტურა -20), ბავშვისა და მშობლისათვის სამკურნალო ფიზკულტურის სახლის პირობებში ჩატარების სწავლებას. მომსახურების ღირებულება შეადგენს 178 ლარს.<br><br>ქვეპროგრამით გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით.<br>ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნება სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზის მქონე 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით და ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო მზრუნველობაში.<br>ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით, ბენეფიციართა ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით.<br>ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:<br>- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება;<br>- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;<br>- მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);<br>- სახელმწიფო მზრუნველობაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;<br>- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;<br>ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. |

| დასახელება | | პროდუქტები | | |
|---|---|---|---|---|
| | | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) |
| რეაბილიტაციის კურსების ჩატარება | | 674 | 178 | 120 000 |
| რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებები | სარეკომენდაციო რაოდენობა | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ექიმ-სპეციალისტის (ორთოპედის) კონსულტაცია | 1 | | | |
| სამკურნალო ფიზკულტურა | 20 | | | |
| მასაჟი | 10 | | | |
| სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი | | | | 120 000 |

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

| | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
|---|---|---|---|---|
| მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა | X | X | X | X |
| ბენეფიციართა განცხადებების მიღება | X | X | X | X |
| განცხადებების განხილვა | X | X | X | X |
| ვაუჩერის გაცემა | X | X | X | X |

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

| |
|---|
| ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის  გაუმჯობესება, გართულებების პრევენცია. |

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

| მოსალოდნელი შედეგი | შედეგის ინდიკატორები | გაზომვის ერთეული | მონაცემთა წყარო | სიხშირე | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია) | მოგროვების მეთოდი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. | რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა | 674 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი | წელიწადში ერთხელ | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი |
| ბენეფიციართა რაოდენობა | რაოდენობა | 674 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი | წელიწადში ერთხელ | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი |